სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

საბაკალავრო პროგრამის კატალოგი

2026 - 2030 სასწავლო წელი

აკადემიის შესახებ

სამხედრო სასწავლებლების ისტორია საქართველოში 1918 წელს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან იწყება. მას შემდეგ რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, დღის წესრიგში დადგა ოფიცერთა ეროვნული კადრების მომზადების საკითხი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს გამართულ სხდომაზე დამტკიცდა ,,კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა", რომლის თანახმად იუნკერთა მოსამზადებლად უნდა დაარსებულიყო სამხედრო სკოლა. სწორედ ეს თარიღი განისაზღვრა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დღედ.

რესპუბლიკის მთავრობამ ახალი სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბება დაავალა გენერალ გიორგი კვინიტაძეს, რომლის ძალისხმევით ქართულმა სამხედრო სკოლამ იუნკერთა პირველი ნაკადი 1919 წლის სექტემბერში მიიღო. აღნიშნულმა სასწავლებელმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე (1921 წ.) იარსება. კომუნისტური მმართველობის დროს, სამხედრო სკოლა ჯერ წითელარმიელ კურსანტთა სამხედრო სასწავლებლად, შემდეგ კი თბილისის საარტილერიო სასწავლებლად გადაკეთდა და 1991 წლამდე იარსება.

1993 წლის 28 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემია, რომელმაც მსმენელთა პირველი ნაკადი 1993 წლის სექტემბერში მიიღო. მოგვიანებით სასწავლებელს ჯერ თავდაცვის ეროვნული აკადემია, ხოლო შემდგომ, ეროვნული თავდაცვის აკადემია ეწოდა. 2003 წლის 20 თებერვალს უმაღლეს სასწავლებელს დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭა. 2009 წლიდან ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისლოკაციის ადგილად გორი განისაზღვრა.

2010 წელს აკადემიაში რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც ოფიცერთა განათლების მთელი სისტემა მოიცვა. ამავე წელს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, აკადემიამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მოიპოვა. ეროვნული თავდაცვის აკადემიას მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

2014 წლის 28 მაისს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, აკადემიის მსმენელებს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებ-ლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნის პატივსაცემად, ისტორიული სახელი „იუნკერი" დაუბრუნდათ.

აკადემიის შესახებ

აკადემიაში შექმნილია მსოფლიო სტანდარტების ადეკვატური განათლებას მიღების, იუნეკრების/მსმენელების ნაყოფიერი და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებისათვის შესაბამისი გარემო. აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს: იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და დისტანციური სწავლების ცენტრი. აკადემიას აქვს ბაზა, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანადარტების შესაბამისი, როგორც სასწავლო-სამეცნიერო და ტექნიკური, ასევე სამხედრო სწავლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. აკადემიაში ხორციელდება სამხედრო, აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სხვადასხვა პროფესიული პროგრამები, რომლებშიც ჩართულნი არიან სამხედრო და ფიზიკური მომზადების ინსტრუქ-ტორები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი. აკადემიაში ხორციელდება ენების ინტენსიური სწავლება (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული და ქართული ენა (ეთნიკური უმცირესობებისთვის)).

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის იუნკერები/ მსმენელები / აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ მოკლევადიან და გრძელვადიან გაცვლით პროგრამებში და იღებენ ცოდნასა და გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით.

აკადემიაში სწავლა უფასოა, ყველა ხარჯს უზურნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. კურსდამთავრებულების 100% იან დასაქმებას უზრუ-ნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, აკადემიის იუნ-კერებს აქვთ ყოველთვიური სტიპენდია აკადემიური მოსწრებისა და სამხედრო საქმეში წარმატების შესაბამისად.

მეთაურის მისალმება

აკადემიის მეთაური
ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

მოგესალმებით,

ჩემთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, რომელიც ერთადერთი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ასევე ფუნქციონირებს უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურები - ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. აკადემია ავტორიზებულია და პროგრამები აკრედიტებულია სსიპ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. აკადემიაში სწავლით თქვენ გეძლევათ უნიკალური შანსი გახდეთ სამხედრო-საგანმანათლებლო სივრცის განუყოფელი ნაწილი და ამავდროულად მიიღოთ უმაღლესი სამოქალაქო განათლება.

აკადემიაში თქვენ დაგხვდებათ ისეთი გარემო, სადაც შეძლებთ განავითაროთ როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი პოტენციალი, ამასთანავე კარგად გაიცნოთ ერთმანეთი და გამორჩეულ გუნდთან ერთად დადგეთ ქვეყნის თავისუფლების სადარაჯოზე. აკადემიაში მოსვლის პირველივე დღიდან თითოეულ თქვენგანს აუცილებლად ექნება განცდა იმისა, რომ აკადემია არის სწორედ ის ადგილი, სადაც უნდა აღიზარდოს სამშობლოს დამცველი, სადაც ფასდება თითოეული ახალგაზრდის ნიჭი, შემართება და მოტივაცია, სადაც შეძლებთ საკუთარი თავის სრულად რეალიზებას იმ მიზნებისათვის, რისთვისაც მოხვედით ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში. იცოდეთ, რომ პირადად მე და აკადემიის სრული პირადი შემადგენლობა, ყოველთვის მხარს დაგიჭერთ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და სწორად გამოყენებაში.

ჩვენი საქმიანობა დაფუძნებულია იუნკერებზე და მსმენელებზე ორიენტირებულ გარემოს შექმნაზე, სადაც მოღვაწეობენ უდიდესი გამოცდილების და საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამხედრო მოსამსახურეები და პროფესორ-მასწავლებლები. სწორედ, იუნკერებისათვის და მსმენელებისათვის სამხედრო სამსახურის სპეციფიკის გაცნობა, მისი ძირითადი საფუძვლების სწავლება, სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და აკადემიური განათლების მიცემაა ჩვენი ყოველდღიური მუშაობის მიზანი.

პირადად ჩემთვის უდიდეს პატივს წარმოადგენს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის მეთაურის თანამდებობაზე სამსახური. ჩვენ აკადემიის სამეთაურო რგოლი, აკადემიის თითოეულ თანამშრომელთან ერთად, თქვენთან ერთად, ძვირფასო მეგობრებო, წარმატებულად ვაყალიბებთ იუნკერთა და მსმენელთა აღრზდის, აკადემიური მოსწრებისა და ლიდერობის განვითარების კულტურას, რაც წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს.

აკადემიის სტუდენტები ატარებენ "იუნკერის" სახელს და ეს არ არის შემთხვევითი. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულება საკუთარი ქვეყნისა და იმ ახალგაზრდა ვაჟკაცების წინაშე, რომლებმაც 1921 წლის თებერვალში საკუთარი მკერდით, გმირულად დაიცვეს სამშობლო კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან.

ჩვენი წმინდა ვალდებულება, ვიყოთ ერთგულნი სამშობლოს თავისუფლებისათვის ზვარაკად შეწირული მამულიშვილების ნათელი ხსოვნისა.

ძვირფასო მეგობრებო, ჩემი მისალმება მინდა დავამთავრო პირველი ქართული სამხედრო სკოლის უფროსის, საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ-მაიორ გიორგი კვინიტაძის იუნკერებისადმი მოწოდებით: "დაე მუდამ თქვენთან იყოს გამარჯვება".

გისურვებთ წარმატებებს, გვფარავდეს ღმერთი!

პატივისცემით,
ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

აკადემიის ხელმძღვანელი პირები

აკადემიის მეთაურის პირველი მოადგილე
პოლკოვნიკი
იმედა გვრიტიშვილი

აკადემიის მეთაურის მოადგილე
პოლკოვნიკი
ზურაბ ზერეკიძე

აკადემიის მეთაურის მოადგილე შტაბის უფროსი
ვიცე-პოლკოვნიკი
ლაშა კლიმიაშვილი

აკადემიის სერჟანტი
მთავარი სერჟანტი
უჩა დავითური

ბაკალავრიატის ხელმძღვანელის მ.შ.
ვიცე-პოლკოვნიკი რუსლან დარჩიძე

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
სამართლის ბაკალავრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით:
273 ECTS კრედიტი;

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 273 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები 180 კრედიტი:

155 კრედიტი - ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები;
25 კრედიტი - ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები.

თავისუფალი კომპონენტი 93 კრედიტი:

83 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (საერთო საჯარისო მართვის სასწავლო კურსები).
10 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები.
სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერს უფლება აქვს თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, აირჩიოს ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები ან ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან, წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, ნებისმიერი სასწავლო კურს(ებ)ი.

საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზი და პროგრამის აქტუალობა

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს თავ¬დაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათ¬ლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იმსახურებს საქართველოს თავდაცვის ძალებში, მის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში, ასევე დასაქმდება სამოქალაქო სექტორში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაიკავებს მნიშვნელოვან ადგილს. მიღებული ცოდნა, ხელს შეუწყობს მის კარიერულ განვითარებას ნებისმიერ ეტაპზე როგორც ტაქტიკურ, ისე ოპერატიულ გარემოში მოქმედებისას, თავდაცვის ძალების განვითარებაში, განსაკუთრებით მიმდინარე და სამომავლო რეფორმირების განხორციელების და ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, ასევე სამოქალაქო სექტორში, საკუთარ წვლილს შეიტანს სამართლის სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში და შეძლებს სწავლის გაგრძელებას, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

კურსდამთავრებულები იქნებიან კონკურენტუნარიანები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

- შესძინოს ფართო ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლებრივი სისტემების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკური პრინციპების, იურიდიული პროფესიების ზნეობრივი ასპექტების, ასევე საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების, მათ შორის სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზების, ძირითადი მახასიათებლებისა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზების თაობაზე;
- გამოუმუშავოს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობის, უახლესი სამართლის მეთოდების გამოყენებით მათი გადაწყვეტის შესაბამისი გზების შემუშავების, ასევე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებითა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ საკუთარი პოზიციების/დასკვნების ზეპირი და წერითი ფორმით დასაბუთების უნარი;
- გამოუმუშავოს იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, საპროცესო და სამართალშეფარდებითი აქტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს კონკრეტული შემთხვევის (კაზუსის) ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, შეფასებისა და გადაწყვეტის, ასევე საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების შერჩევის, ანალიზის და გამოყენების უნარი;
- გამოუმუშავოს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში საქმის ფაქტობრივ გარემოებების შეფასების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სხვა იურიდიული ამოცანების გადაწყვეტის, სამართლებრივი დავის (საქმის) გადაწყვეტის გადაწყვეტის გზების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვითა და სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარი;

გამოუმუშავოს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა და რომელსაც მიმდინარე წელს არ უსრულდება მინიმუმ 24 წელი. ამასთან, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგანად განსაზღვრულია გამოცდა მათემატიკაში, ისტორიაში ან სამოქალაქო განათლებაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტი ერთიან ეროვნულ გამოცდამდე გადის შესაბამის კონკურსს (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება, გამოცდა ინგლისურ ენაში და გასაუბრება), ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ დადგენილი წესით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტი გადის საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT).

იუნკერის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

სპეციალობისათვის რელევანტური ინგლისური ენის სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობას ინგლისური ენის ცოდნის B1 დონე წარმოადგენს, რაც აკადემიის მიერ ორგანიზებული ენობრივი კომპეტენციის დონის განსაზღვრის გამოცდით დასტურდება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის B1 დონის ან უფრო მაღალი დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი), თავისუფლდება აკადემიის მიერ ორგანიზებული გამოცდისგან.

ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე.

საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველ-ყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება. გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, ბაკალავრიატი და აკადემიის შტაბის G3/G2-ის სასწავლო განყოფილება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ იუნკერი:

ცოდნა და გაცნობიერება

აღწერს:

- სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, სამართლებრივ სისტემებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ასევე იურისტის პროფესიული ეთიკის სტრუქტურას, სპეციფიკას, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;

- სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ეროვნული მოდელის თავისებურებებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს, სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;

- საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობის საკითხებს, თანამედროვე ჰუმანიტარული სამართლის წყაროებს და ფუნდამენტურ პრინციპებს, საერთაშორისო და არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს, კომბატანტისა და სამხედრო ტყვის სტატუსს, სამოქალაქო პირისა და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის საკითხებს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ წესებსა და ოკუპანტის ვალდებულებებს, საერთაშორისო და არასაერთაშორისო კონფლიქტის დროს ომის წარმოების მეთოდებს, ასევე ომის წარმოების წესებს, ომის წარმოების შეზღუდვებს, ბრძოლის აკრძალულ მეთოდებს;
- კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, სანივთო სამართლის სისტემას, პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალის მიზნებს, ამოცანებს, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებებს, შრომის სამართლის წყაროებს, შრომითი ურთიერთობის პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო დავების წარმოშობის მიზეზებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს, საკორპორაციო სამართლის სისტემას და წყაროების, ქართული საკორპორაციო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმებსა და მათ დამახასიათებელ ნიშნებს;
- დანაშაულის არსს, სახეებს, სასჯელის სისტემას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;
- ხსნის ოცეულის დონის ქვედანაყოფის მართვის პრინციპებს, ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების საფუძვლებს.

უნარები:

- ამოიცნობს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და უახლესი სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს;

- მსჯელობს კერძო, საჯარო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერითი ფორმით, ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს (დასკვნებს) იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებითა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.
- შეიმუშავებს სამართლებრივი დოკუმენტების (სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამართალშეფარდებითი აქტები, საპროცესო დოკუმენტები, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტები) პროექტებს, ასევე, კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- არჩევს, აანალიზებს და იყენებს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს, კონკრეტული შემთხვევის (კაზუსის) ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, შეფასებისა და გადაწყვეტის მიზნით;
- აანალიზებს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ახორციელებს კონკრეტულ იურიდიულ მოქმედებებს, წყვეტს სხვა იურიდიულ ამოცანებს, შეიმუშავებს სამართლებრივი დავის (საქმის) გადაწყვეტის სტრატეგიას და ტაქტიკას, ასევე სამართლებრივი დავის (საქმის) გადაწყვეტის გზებს;
- გეგმავს და ასრულებს ოცეულის დონის ქვედანაყოფის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის სახმელეთო ოპერაციებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით მონაწილეობს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, საკონსტიტუციო ან/და სისხლის სამართალწარმოების პროცესში იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების გათვალისწინებით;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, რითაც ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით;
- განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრე-დიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად. იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, გამოცდების მომზადება/ჩაბარებას, დამოუკიდებელ მუშაობას, საშინაო დავალებაზე მუშაობას, საშინაო დავალების პრეზენტაციას და სხვა სახის საქმიანობას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იუნკერის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება იუნკერს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებებს (ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენ-ტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას იუნკერის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება იუნკერს სასწავლო სემესტრის დასაწ-ყისში.

შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. იუნკერს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

საერთო საჯარისო მართვის სასწავლო კურსების სილაბუსებში ზოგიერთი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი უფრო მაღალია, მაგრამ არაუმეტეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნისა.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები (იუნკერს უწყდება სტატუსი აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ).

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. იუნკერის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც იუნკერზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს იუნკერმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს იუნკერის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (collaborative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო/მხარდაჭერის ქვედანაყოფებსა და უზრუნველყოფის სამსახურებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, თავდაცვის, უსაფრთხოების და სამხედრო პროფილის სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდეს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონ-მდებლობით გათვალის-წინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამ-თავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში;
- კერძო სამართლის იურიდიულ პირებში;
- არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, მათ შორის საერთაშორისო და უფლებადამცავ ორგანიზაციებში;

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამ-თავრებულს შეუძლია განახორციელოს საადვოკატო, სანოტარო ან საარბიტრაჟო საქმიანობა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლის გაგრძელების საშუალება

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამ-თავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.